პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 აგვისტო, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 156 (9567) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

1917 1987 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

**დამთავრდა ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები**

# თვითონ იშენებენ

**რაიონული** ცენტრის—თიანეთის მცხოვრებლებისათვის სასიამოვნო სიურპრიზით დაიწყო ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი. დიდ ნაკადად მიემართებოდნენ ისინი კულტურისა და დასვენების პარკში და თითქოს სამუზეუმო ექსპონატიაო, ათვალიერებდნენ მის ტერიტორიაზე აგებულ საჭიდაო დარბაზის შენობას, შემდეგ კი შეიკრიბნენ სტადიონის განახლებულ ტრიბუნებზე. ერთი სიტყვით, თიანელთა უმრავლესობისათვის ეს მოულოდნელობა არა ყოფილა. ბევრი მათგანი სამსახურებრივი მოვალეობის გამო, გულის კარნახით მონაწილეობდა სპორტკომპლექსის მშენებლობასა და კეთილმოწყობაში.

ამ დღეს ალეკო შენგელია მრავალი წელი ელოდა. დიდხანს ოცნებობდა, რომ მშობლიურ თიანეთს ჰქონოდა კარგად აღჭურვილი საჭიდაო დარბაზი, ჯანმრთელობის ქალაქი, სტადიონი. 15 წლის წინათ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულს რაისპორტკომიტეტის თავკაცობა მიანდეს. მას შემდეგ იგი დიდი ენთუზიაზმით აკეთებს თავის საქმეს.

რაიონში პრობლემები საკმარისად იყო, — გვითხრა მან. — ზოგჯერ ხელმძღვანელობა იძულებული იყო სპორტისათვის გვერდი აევლო. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილნი ვისხედით. უკანასკნელი წლების მანძილზე საკუთარი ძალებით ავაგეთ რამდენიმე მოედანი სათამაშო სახეობებისათვის, ფეხბურთის მოედანი. ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა იმეცადინონ რაიონული სპორტსკოლის სხვადასხვა სექციაში. მაგრამ ყოველივე ეს დღეს არ კმარა.

ახალი საჭიდაო დარბაზის აშენების, სტადიონის კეთილმოწყობის, ახალი სპორტმოედნების აგების იდეას მხარი დაუჭირეს ყველა დონეზე. სამუშაოები გაჩაღდა. მშენებლობა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გახდა. მშენებლებთან ერთად მუშაობდა ასობით მოხალისე. შრომობდნენ შაბათობებსა და კვირაობებზე.

დარბაზი ჩინებული გამოვა. მისი არენა შესაძლებლობას მისცემთ



მოაწყონ მოჭიდავეთა, ძიუდოისტთა, მოკრივეთა, ფრენბურთელთა, კალათბურთელთა, ხელბურთელთა ვარჯიშები. შეჯიბრებას ტრიბუნებიდან კი თვალი შეუძლია ადევნოს დაახლოებით 500 კაცმა. გვერდით არის ძალოსნობის დარბაზი. მოეწყობა გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო ოთახი, დამხმარე ნაგებობები.

— ვერაფერს ვიტყვით, ჩინებული საჩუქარია, — მიაჩნია წარსულში განთქმულ საბჭოთა მოჭიდავეს, არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონს ვახტანგ ბალავაძეს, რომელიც მრავალ სტუმართან ერთად დღესასწაულზე ჩამოვიდა. — [illegible] დება ის დრო, როცა მე გამოვდიოდი. თიანეთში კარგი ფალავნები იყვნენ. მაგრამ შემდეგ როგორღაც ისინი ჩრდილში მოექცნენ. დარწმუნებული ვარ, რომ ტრადიციები აღორძინდება. აქ ბუნებით ღონიერი, მარდი, გაბედული ყმაწვილები იზრდებიან. ახალი დარბაზი და მიზანდასახული მუშაობა მოზარდებთან, უეჭველია, ნაყოფს მოიტანს.

დროთა განმავლობაში რაიონული ცენტრის პარკი დასვენების ნამდვილ ზონად გადაიქცევა. აქ აიგება ჩოგბურთის მოედნები, საცურაო აუზი, სასტუმრო თავისი კვების ბლოკით. ყოველივე ეს იმის შესაძლებლობას შექმნის, რომ თიანეთში მოეწყოს რესპუბლიკური მასშტაბის ასპარეზობანი, ადგილობრივ მცხოვრებლებს კი დაეხმარება ჯანმრთელობის გაკაჟებაში.

ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

(საქინფორმი).



**მსოფლიო** რეკორდები ისე სწრაფად იზრდება, სპეციალისტებს შიში გაუჩნდათ, ახალ მიღწევას, თუნდაც მნიშვნელოვანს, ფანტასტიკური უწოდონ. არადა, სწორედ ამ ეპითეტს იმსახურებს შესანიშნავი სპორტსმენის პეტრა ფელკეს შედეგი შუბის ტყორცნაში, რომელიც მან 30 ივლისს ლაიფციგის სტადიონზე აჩვენა — 78 მეტრი და 90 სანტიმეტრი. გდრ-ის მძლეოსანმა ძველი რეკორდი, რომელიც დიდბრიტანელ ფატიმა უაიტბრედს ეკუთვნოდა, და რომელიც ახევე თავის დროზე ბრწყინვალე მიღწევად აღიარეს, ერთბაშად 1,56 მეტრით გააუმჯობესა.

მძლეოსნობის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ პეტრა ფელკეს თბილისშიც უასპარეზია. ეს იყო 1981 წელს, საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა მატჩში.

ს უ რ ა თ ზ ე: პეტრა ფელკე.

## საბოლოო გუნდური შედეგები

(არაოფიციალური ჩათვლა)

| | | |
|---|---|---|
| 1. | პროფკავშირები-I | 6468,0 ქულა |
| 2. | რსფსრ | 5687,3 |
| 3. | პროფკავშირები-II | 4751,3 |
| 4. | „დინამო“ | 4042,8 |
| 5. | უკრაინა | 3383,5 |
| 6. | **საქართველო** | **3259,5** |
| 7. | დასავლეთი ზონა | 2973,5 |
| 8. | სამხრეთი ზონა | 2647,5 |
| 9. | საბჭოთა არმია | 2007,5 |
| 10. | „ურიჟაი“ | 1062,5 |
| 11. | „შრომითი რეზერვები“ | 1019,5 |

# თამაშები და შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადგილები, ქულები

I-VI გუნდური ადგილების მიხედვით

| ადგილი | გუნდები | პირველი | მეორე | მესამე | მეოთხე | მეხუთე | მეექვსე | სულ | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | პროფკავშირები-I | 15 | 3 | 3 | — | 3 | 3 | 27 | 141,0 |
| 2. | რსფსრ | 4 | 12 | 3 | 3 | 3 | 1 | 26 | 116,0 |
| 3. | **საქართველო** | 4 | 4 | 3 | 4 | 2 | 3 | 20 | 79,0 |
| 4. | პროფკავშირები-II | 1 | 5 | 4 | 7 | 3 | 4 | 24 | 79,0 |
| 5. | უკრაინა | 3 | 1 | 6 | 1 | 3 | 3 | 17 | 62,0 |
| 6. | „დინამო“ | 1 | 3 | 4 | 5 | 3 | 3 | 19 | 62,0 |
| 7. | სამხრეთი ზონა | 2 | 1 | 2 | 3 | 4 | 3 | 15 | 47,0 |
| 8. | დასავლეთი ზონა | — | 1 | 5 | 2 | 4 | 3 | 15 | 42,0 |
| 9. | „ურიჟაი“ | — | — | — | 2 | 3 | 1 | 6 | 13,0 |
| 10. | საბჭოთა არმია | — | — | — | 2 | 2 | 3 | 7 | 13,0 |
| 11. | „შრ. რეზერვ.“ | — | — | — | 1 | — | 3 | 4 | 6,0 |

**შენიშვნა:** პირველი ადგილი — 7 ქულა, მეორე — 5, მესამე — 4, მეოთხე — 3, მეხუთე — 2, მეექვსე — 1.

## საბოლოო ცხრილი

(მხოლოდ საპრიზო გუნდური ადგილების მიხედვით)

| ადგილი | გუნდები | პირველი | მეორე | მესამე | სულ | ქულები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | პროფკავშირები-I | 15 | 3 | 3 | 21 | 132,0 |
| 2. | რსფსრ | 4 | 12 | 3 | 19 | 100,0 |
| 3. | **საქართველო** | 4 | 4 | 3 | 11 | 60,0 |
| 4. | უკრაინა | 3 | 1 | 6 | 10 | 50,0 |
| 5. | პროფკავშირები-II | 1 | 5 | 4 | 10 | 48,0 |
| 6. | „დინამო“ | 1 | 3 | 4 | 8 | 38,0 |
| 7. | სამხრეთი ზონა | 2 | 1 | 2 | 5 | 27,0 |
| 8. | დასავლეთი ზონა | — | 1 | 5 | 6 | 25,0 |
| 9. | „ურიჟაი“ | — | — | — | — | — |
| 10. | საბჭოთა არმია | — | — | — | — | — |
| 11. | „შრ. რეზერვები“ | — | — | — | — | — |

**შენიშვნა:** პირველი ადგილი — 7 ქულა, მეორე — 5, მესამე — 4.

## საბოლოო ცხრილი

მედლები და ოლიმპიური სისტემით დარიცხული ქულები

| ადგილი | გუნდები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ მედ. ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | პროფკავშირები-I | 78/546 | 45/225 | 54/216 | 177/987 |
| 2. | რსფსრ | 38/266 | 41/205 | 47/188 | 126/659 |
| 3. | „დინამო“ | 29/203 | 30/150 | 41/164 | 100/517 |
| 4. | პროფკავშირები-II | 21/147 | 40/200 | 36/144 | 97/491 |
| 5. | **საქართველო** | 23/161 | 18/90 | 26/104 | 67/355 |
| 6. | დასავლეთი ზონა | 13/91 | 19/95 | 21/84 | 53/270 |
| 7. | უკრაინა | 14/98 | 15/75 | 20/80 | 49/253 |
| 8. | სამხრეთი ზონა | 12/84 | 12/60 | 15/60 | 39/204 |
| 9. | საბჭოთა არმია | 9/63 | 13/65 | 8/32 | 30/160 |
| 10. | „ურიჟაი“ | 5/35 | 7/30 | 13/52 | 25/117 |
| 11. | „შრ. რეზერვები“ | 6/42 | 9/45 | 4/16 | 19/103 |

**შენიშვნა:** პირველი ადგილი 7 ქულა, მეორე — 5, მესამე — 4.

## სახეობები, ქულები და მედლები

(მხოლოდ საქართველოს ნაკრები გუნდების შედეგები)

| ადგილი | სახეობა | ქულები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | კალათბურთი (ვაჟ.) | 144,0 | 1 | — | — | 1 |
| 1. | კრივი | 70,0 | 5 | 4 | 4 | 13 |
| 1. | ძიუდო | 84,0 | 5 | — | — | 5 |
| 1. | ფეხბურთი | 144,0 | 1 | — | — | 1 |
| 2. | თავისუფალი ჭიდაობა | 82,0 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 2. | კლას. ჭიდაობა | 98,0 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 2. | წყალში ხტომა | 88,0 | — | 1 | — | 1 |
| 2. | ხელბურთი (ვაჟ.) | 120,0 | — | 1 | — | 1 |
| 3. | ბადმინტონი | 307,0 | — | 1 | 1 | 2 |
| 3. | კალათბურთი (გოგ.) | 100,0 | — | — | 1 | 1 |
| 3. | წყალბურთი | 100,0 | — | — | 1 | 1 |
| 4. | სამბო | 130,0 | 3 | 3 | 2 | 8 |
| 4. | ფრენბურთი (ვაჟ.) | 80,0 | — | — | — | — |
| 4. | მხატ. ტანვარჯიში | 142,5 | — | 1 | — | 1 |
| 4. | ფარიკაობა | 180,0 | — | — | 1 | 1 |
| 5. | ძალოსნობა | 76,0 | — | 1 | 1 | 2 |
| 5. | ჭადრაკი (ვაჟ.) | 34,0 | — | — | — | — |
| 6. | ფრენბურთი (გოგ.) | 56,0 | — | — | — | — |
| 6. | აკად. ნიჩბ. | 40,0 | 1 | — | 1 | 2 |
| 6. | ჩოგბურთი | 163,0 | — | — | 1 | 1 |
| 7. | ტყვიის სროლა | 165,0 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 7. | მაგ. ჩოგბურთი (ვაჟ.) | 0 | — | — | — | — |
| 8. | საგზ. ველორბოლა | 72,0 | — | — | — | — |
| 8. | მძლეოსნობა | 159,0 | 2 | 1 | 2 | 5 |
| 9. | სპ. ტანვ. | 406,0 | 2 | — | 2 | 4 |
| 9. | ნიჩბ. ბაიდ. და კან. | 39,0 | — | — | 1 | 1 |
| 9. | ცურვა | 151,0 | — | — | — | — |
| 10. | მაგ ჩოგბურთი (გოგ.) | 0 | — | — | — | — |
| 7-8. | ხელბურთი (გოგ.) | 0 | — | — | — | — |
| 7-10. | ჭადრაკი (გოგ.) | 0 | — | — | — | — |
| | სულ | 3259,5 | 23 | 18 | 26 | 67 |

**შენიშვნა:** წინასწარი შედეგების მიხედვით საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრებ გუნდს ჩათვლილი ჰქონდა ბრინჯაოს მედალი ხმლით გუნდურ პირველობაში მოპოვებული III ადგილისათვის, რაც შეცდომა იყო. ამრიგად, საქართველოს მოფარიკავეებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს (რაპირა, პირადი პირველობა). ასე, რომ სულ საქართველოს სპორტულ დელეგაციას 67 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული.

# მიუღწევლად მიაჩნდათ...

**მათ** სპორტულ წარმატებათა ნუსხაში ყველაზე ღირსსახსოვარი და „საინტერესო" სტრიქონები სულ ახლახან ჩაიწერა. ნუგზარ აბელოვმა, სოსო სულიკაშვილმა, ლევან ლორთქიფანიძემ, გიორგი დოლიძემ და თემურ დარსაველიძემ სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში ოქროს მედლები დაისაკუთრეს (სურათზე მათ სწორედ ამ თანამიმდევრობით ხედავთ). არადა, სპორტულ გზას ახლახან დაადგნენ. ფოთში, საკავშირო თამაშების სტარტზე გამოსვლამდე „უცხო" მეტოქე არც კი უნახავთ, მანამდე სხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებს არ გასჯიბრებიან, ყველაზე მაღალი რანგის შეჯიბრება მათთვის საქართველოს პირველობა იყო.

— ეს ბიჭები ერთ ნავში აპრილში ჩასხდნენ, — გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოთარ ბერელიძემ. — მუყაითი ყმაწვილები არიან, ერთმანეთსაც კარგად შეეწყვნენ. როცა საკავშირო თამაშები მოახლოვდა, საკონტროლო გაცურვებში ჭაბუკთა საკავშირო ნაკრების წევრთათვის სავალდებულო საკონტროლო ნორმატივების ტოლფას შედეგს აჩვენებდნენ. სწორედ მაშინ ვირწმუნე, რომ ოქროს მედლებისათვის შეეძლოთ ბრძოლა. მართალია, ფოთში გამგზავრებამდეც ყველამ იცოდა, რომ სწორედ ამ ოთხეულის იმედი გვქონდა, მაგრამ ოქროს მედლებს მიუღწეველ ოცნებად გვითვლიდნენ. ჩვენი, მწვრთნელების ვარაუდი კი ობიექტურ მონაცემებს ემყარებოდა — ბიჭები არც ტექნიკური და არც ფიზიკური მომზადებით არ ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეებს. ფინალში საუკეთესო შედეგით გავიდნენ და არც მერე შეურცხვენიათ თავი — სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობა არ დაუთმიათ. ოქროს მედლების მოპოვება შეეძლო ჩვენს მეორე ეკიპაჟსაც. გივი გაბელაია და ვახტანგ ვერეტენიკოვი სტარტიდანვე დაწინაურდნენ, მაგრამ ფინიშამდე 150 მეტრი რომ დარჩა, გეზი ეცვალათ, ერთ-ერთმა მათგანმა ტივტივას წამოსდო ნიჩაბი და... საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდნენ.

ოთარ ბერელიძესთან ერთად გუნდს ამზადებდნენ დათო გეგეჭკორი, დათო მელქაძე და ვიტალი აბაზაძე. ამ ნიჩბოსნებიდან ხუთი თბილისის საწყლოსნო სახეობების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელია (ეს სკოლა აკადემიურ ნიჩბოსნობაში მოპოვებული წარმატებებისთვის საკავშირო სპორტსახკომმა დიპლომით დააჯილდოვა — სპორტსკოლათა შორის იგი მესამე ადგილზე გავიდა), თემურ დარსაველიძე გლდანის სკოლა-ინტერნატის, ვახტანგ ვერეტენიკოვი კი რუსთავის სპორტსკოლის მოსწავლეები არიან.



რამინ ღვამიჩავას ფოტო.

# ფიზკულტურელის დღეს მიეძღვნა

ჩვენი გაზეთის მკითხველებს უკვე ვაცნობეთ ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი ზეიმის შესახებ, რომელიც რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში გაიმართა. მას შემდეგ კიდევ მივიღეთ ცნობები.

## ჩოხატაური

რაიონულ იპოდრომზე გაიმართა შეჯიბრება ცხენოსნობაში მასპინძელთა და სამტრედიის საცხენოსნო კლუბის წევრთა მონაწილეობით. ისინდში და დოღში (ორ კილომეტრზე) ჩოხატაურელმა მხედრებმა იმარჯვეს. დიდი ინტერესი გამოიწვია სარაიონო პირველობის ფინალურმა შეხვედრამ ლელობურთში. ჩაისუბნის გუნდმა სძლია დაბლაციხელ სპორტსმენებს. მოეწყო შეჯიბრებები აგრეთვე ბაგირის გადაძალვაში, სიმძიმეების აწევაში...

## ზუგდიდი

აქ ყველა სპორტული ბაზა საზეიმოდ იყო მორთული. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ჩატარდა შეჯიბრებები უმცროს, საშუალო და უფროსი ასაკის ფიზკულტურელთა შორის. პროგრამაში იყო შეჯიბრებები მინიფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. სპორტული ზეიმის მონაწილეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ აგრეთვე საშუალო და გრძელ მანძილებზე კროსში, ბაგირის გადაძალვაში. აქვე გაიმართა ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში, მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში — ცხენბურთში, ისინდში, ყაბახში. სულ სარბიელზე 14 ათასამდე სხვადასხვა ასაკის ადამიანი გამოვიდა.

## ზნაური

8 აგვისტოს რაიონში გაიმართა ასპარეზობები ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთში, ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში. სარბიელზე სულ გამოვიდა 900-მდე სპორტის მოყვარული.

## სამტრედია

სპორტულ ბაზებზე საასპარეზოდ რაიონის 4.300-მდე ფიზკულტურელი შეიკრიბა. ბევრგან ღონისძიებები საზეიმოდ ჩატარდა.

## ორჯონიკიძე

მასობრიობით გამოირჩეოდა ორჯონიკიძის რაიონში გამართული ღონისძიებები. ზეიმში 2200-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა.

## საგარეჯო

რაიონის 530-მდე სპორტის მოყვარულმა ზეიმით აღნიშნა ფიზკულტურელის დღე.

## ბოგდანოვკა

ჩატარდა ასპარეზობები ფრენბურთში, ფეხბურთში, ჩოგბურთში, მშდ-ის ნორმატივების ჩაბარებაში. შეჯიბრებებში 280-მდე კაცი მონაწილეობდა.

## წულუკიძე

რაიონის ფიზკულტურელებმა, რომელთა რიცხვი 5000 აჭარბებდა, პროგრამაში შეიტანეს ქართული ჭიდაობა, ფეხბურთი, ლელობურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.



რუსთავი. ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი მასობრივი ღონისძიების ერთ-ერთი ფრაგმენტი.

რაუდენ გაბრიჭიძის ფოტო.

# ოფიციალური შეფასება

**ვლადიმერ ბაუერი,**

თამაშების მთავარი მსაჯის მოადგილე, საკავშირო სპორტსახკომის სპორტული რეზერვის სამმართველოს უფროსი, თამაშების მოწყობის ინიციატორი:

— სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ძალიან ცოტა დრო რჩებოდა იმისათვის, რომ საორგანიზაციო საკითხები გულდინჯად გადაგვეწყვიტა. თამაშების მასპინძელი რესპუბლიკაც შესარჩევი იყო. და აი, ამ დროს მხარში ამოგვიდგა საქართველო, რესპუბლიკა, რომელსაც გადატანილი სტიქიური უბედურების შემდეგ სრული უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ამ გრანდიოზული ღონისძიების მასპინძლობაზე. გაგვაოცა თქვენი ხალხის ენთუზიაზმმა, მათმა გულითადობამ და სტუმართმოყვარეობამ. დიდი მადლობა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისა და თამაშების მაღალ, მე ვიტყოდი, შეუდარებლად მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. ყველაფერი კეთდებოდა ზედმეტი აყიოტაჟისა და ფაცი-ფუცის გარეშე.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა!

# ჰპვ

ქვარცხლბეკი

### ფარიკაობა

**რაპირა. ჭაბუკები.** 1. ვ. პავლოვიჩი (საბჭოთა არმია); 2. ა. ყურავლიოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო); 3. ს. გარავსკი (პროფკავშირები-I);.. 8. ა. ფრანგულიდი (ბათუმი);.. 10. ვ. ურუშაძე;.. 13. გ. კვარაცხელია (ორივე — თბილისი).

**გუნდური.** 1. რსფსრ-ის განათლების სამინისტრო; 2. საბჭოთა არმია; 3. პროფკავშირები-I; 4. საქართველო.

**ხმალი.** 1. ვ. გუტცაიტი („დინამო"); 2. მ. სოკოლსკი (პროფკავშირები-I), 3. დ. ოსტაპენკო („დინამო"); 4. ლ. ყიფიანი;.. 9. ზ. ქორიძე;.. 11. ბ. ჯავოევი;.. 21. რ. ლუაშვილი (ყველა — თბილისი).

**გუნდური.** 1. პროფკავშირები-I; 2. „დინამო"; 3. საქართველო.

**დაშნა.** 1. ა. ლანსკი (დასავლეთი ზონა); 2. ს. სავჩენკოვი (პროფკავშირები-I); 3. ი. სტეპანოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო);.. 20. გ. თავართქილაძე;.. 22. ი. ჯანყარაშვილი (ორივე — თბილისი); 23. ლ. ჩხარტიშვილი (ბათუმი);.. 34. დ. გოგლიჩიძე (თბილისი).

**გუნდური.** 1. დასავლეთი ზონა; 2. რსფსრ-ის განათლების სამინისტრო; 3. პროფკავშირები-I;.. 8. საქართველო.

### საერთო გუნდური პირველობა

1. პროფკავშირები-I — 80 ქულა (ადგილების ჯამის მიხედვით); 2. რსფსრ, განათლების სამინისტრო — 93; 3. „დინამო" — 127; 4. საქართველო — 163; 5. საბჭოთა არმია — 183; 6. უკრაინა, განათლების სამინისტრო — 200; 7. პროფკავშირები-II—218; 8. დასავლეთი ზონა 240; 9. სამხრეთი ზონა — 286.



# თქვენ რას იტყვით, კოლეგა?

**იურის ვინბრისი,**

ლატვიის გაზეთ „სპორტსის" განყოფილების გამგე.

სპორტულ ჟურნალისტებს სხვადასხვა რანგის ბევრი ასპარეზობა გვინახავს ჩვენს ქვეყანაში თუ უცხოეთში. დამერწმუნეთ, ეს თამაშები ჩატარების ორგანიზაციით არც ერთ აღიარებულ ასპარეზობას არ ჩამოუვარდებოდა. პირიქით, ბევრი რამ იყო ისეთი, რაც ნორჩთა ასპარეზობას უფრო მაღლა აყენებს. ჟურნალისტებს იდეალური პირობები გვქონდა, რითაც, სხვათა შორის, არ ვართ განებივრებულები. შესანიშნავად იყო ორგანიზებული ინფორმაციის ოპერატიულად მიღება-დამუშავებისა და რედაქციებში გადაცემის სისტემა, უნაკლოდ მუშაობდა ჟურნალისტებისთვის გამოყოფილი ტრანსპორტი.

# ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „სად გავატაროთ თავისუფალი დრო"

„ლელოს" 1987 წლის 20 მაისს გამოქვეყნებული წერილის „სად გავატაროთ თავისუფალი დრო" პასუხად გაცნობებთ, რომ კრიტიკა სამართლიანია. სოფელი ბაჯითი სარეკის საბჭოს და კოლმეურნეობის ერთ-ერთი ცალკეული უბანია. აქ ძნელად მოიძებნება ვაკე ადგილი, სადაც ფეხბურთის მოედნის მოწყობა შეიძლება. მიუხედავად ამისა, სოფლის ახალგაზრდებმა მაინც მოახერხეს მარტივი ტიპის საფეხბურთო მოედნის მოწყობა, მაგრამ საჩხერის საქკოოპმრეწვის საწარმომ იქვე, ახლოს, მარმარილოს ქვის გამოღება დაიწყო და მოედანი გაუქმდა.

8-წლიანი სკოლის მარტივი ტიპის მოედანზე ფეხბურთის თამაში სკოლის დირექციამ აკრძალა, რადგან თამაშის დროს ზიანდება ეზოს ღობე, ყვავილნარი, იმსხვრევა ფანჯრის მინები.

რაც შეეხება გაუქმებულ მოედანს, მას უახლოეს მომავალში გაასუფთავებენ და კეთილმოაწყობენ.

**თამაზ ლაშხი,**

საჩხერის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# თამაშების დღეები ილუსტრაციებში









ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ოლიმპიური მატჩია

**დღეს** მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე, შედგება მომავალი ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი — საბჭოთა ფეხბურთელები მიიღებენ ნორვეგიის ოლიმპიურ ნაკრებს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 1988 წლის ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 116 ქვეყანამ, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩაატარა წილისყრა და გუნდები გაანაწილეს წინასწარ, საკლასიფიკაციო ტურნირში. ერთი ადგილი, წესისამებრ, განეკუთვნა მასპინძელს — სამხრეთ კორეის ნაკრებს, ფინალურ ტურნირში 5 ადგილი დაეთმო ევროპას, 3 — აფრიკას, 2 — სამხრეთ ამერიკას, 2 — აზიას, 2 — კარიბის ზღვის აუზის, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს, 1 — ავსტრალიისა და ოკეანიის სახელმწიფოებს.

ოლიმპიურ ტურნირში შეზღუდული არაა ფეხბურთელთა ასაკი, არც პროფესია, ერთადერთი აკრძალვაა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელთათვის, კერძოდ: ის, ვინც მონაწილეობდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში, ან, თუნდაც, შესარჩევი ციკლის ერთ მატჩშიც კი, ოლიმპიურ ტურნირში არ დაიშვება.

ევროპაში შექმნილია 5 შესარჩევი ჯგუფი, აზიაში მეტოქეები წილისყრით არიან დაწყვილებული და სათასო წესით ხვდებიან ერთმანეთს, სამხრეთ ამერიკის 10 გუნდი ფინალის ორ საგზურს გაითამაშებს სპეციალურ ტურნირში, აზიის ზონაში 27 გუნდი წინასწარ ჯგუფებში იბრძოლებს ფინალის საგზურისათვის, ასეთივე ჯგუფებია შექმნილი კარიბის ზღვის, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის, აგრეთვე, ავსტრალიისა და ოკეანიის ქვეყნებში.

საბჭოთა ფეხბურთელები ევროპის „დ“ ჯგუფში მოხვდნენ შვეიცარიის, თურქეთის, ნორვეგიისა და ბულგარეთის გუნდებთან ერთად.

მოვიყვანთ ამ ჯგუფში დღემდე ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებს:

**1986 წელი**

**ნორვეგია — სსრ კავშირი 0:0**

შვეიცარია — ნორვეგია 1:0

თურქეთი — შვეიცარია 3:2

**1987 წელი**

**თურქეთი — სსრ კავშირი 0:2**

შვეიცარია — ბულგარეთი 1:1

ნორვეგია — თურქეთი 1:1

**ბულგარეთი — სსრ კავშირი 0:1**

ნორვეგია — ბულგარეთი 0:0

დღეს, როგორც იცით, თამაშობენ სსრ კავშირი — ნორვეგია, 26 აგვისტოს—ნორვეგია — შვეიცარია. დანარჩენი შეხვედრები გაიმართება წლეულს დეკემბრამდე, სულ კი საკლასიფიკაციო მატჩები „დ“ ჯგუფში დამთავრდება 1988 წლის 25 მაისს.

სატურნირო მდგომარეობა ჯგუფში სადღეისოდ ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 5 |
| **შვეიცარია** | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| **თურქეთი** | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 3 |
| **ნორვეგია** | 4 | 0 | 3 | 1 | 1-2 | 3 |
| **ბულგარეთი** | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |

როგორც ხედავთ, საბჭოთა ფეხბურთელებმა ჯერჯერობით მხოლოდ მეტოქეთა მინდვრებზე ითამაშეს, 6 შესაძლებლიდან 5 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფებიან.

დღევანდელი მატჩისათვის საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში ემზადებოდნენ მოსკოვის არმიელები ფოკინი, ტატარჩუკი, ბროშინი, მოსკოვის დინამოელები პრუდნიკოვი, დობროვოლსკი, ლოსევი, სკლიაროვი, მოსკოვის ტორპედოელები ხარინი, ი. სავიჩევი, კიევის დინამოელი მიხაილიჩენკო, ვილნიუსელები ბარანაუსკასი, ნარბეკოვასი, ალმაათელი იაროვენკო, მინსკელი დერკაჩი და სხვები.

**სსრ კავშირისა და ნორვეგიის ოლიმპიელ ფეხბურთელთა მატჩის ტელეტრანსლაცია დღეს დაიწყება ცენტრალური ტელევიზიის I პროგრამით 19 საათს და 30 წუთიდან თბილისის დროით.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

**გუშინ** შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის 3 მატჩი.

„მეტალისტი“ — „ქაირათი“ 1:0

„არარატი“ — „დნეპრი“ 2:1

„ნეფთჩი“ — „შახტიორი“ 1:0

## ევროპის სტადიონებზე

**ბუდაპეშტი.** აქ მიმდინარე ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირში „ოქროს თავთავის“ თასზე ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და სსრ კავშირის გუნდები. ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0, მატჩის შემდგომი პენალტების სერიაში უფრო ზუსტნი უნგრელი ფეხბურთელები იყვნენ, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 4:3. მესამე ადგილი დაიკავეს შოტლანდიელებმა. მათ ასევე დამატებითი პენალტებით სძლიეს იუგოსლავიის გუნდს.

**ბრატისლავა.** „სლოვაკიის ეროვნული აჯანყების თასის“ გათამაშების ბოლო მატჩში ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბანსკა-ბისტრიცას „დუკლამ“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა მოსკოვის ცსკა და საპატიო პრიზიც მოიპოვა.

**ჰოლანდიაში** დამთავრდა 8 გუნდის საერთაშორისო ტურნირი. კიევის დინამოელებმა ანგარიშით 0:1 წააგეს იტალიის „ტორინოსთან“. პირველი ადგილი დაისაკუთრა ჰოლანდიის „აიაქსმა“.

**სოფია.** თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მეტოქემ უეფა-ს თასზე ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ ბულგარეთის ეროვნული ჩემპიონატის მატჩი სტუმრად მოუგო ქ. პერნიკის „მინიორს“ — 2:0.

# „დინამოს“ მეტოქე—„ლოკომოტივი“

**როგორც** ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, 16 სექტემბერს თბილისის „დინამო“ უეფა-ს თასის გათამაშების პირველ მატჩში ბულგარეთში შეხვდება სოფიის „ლოკომოტივს“. გულშემატკივართათვის უთუოდ საინტერესო იქნება ბულგარეთის ამ გუნდის გაცნობა.

სოფიის „ლოკომოტივი“ საკმაოდ ცნობილი გუნდია ევროპულ ფეხბურთში. რკინიგზელები ოთხჯერ იყვნენ ბულგარეთის ჩემპიონები, თუმცა, ეს უკანასკნელად 9 წლის წინათ მოხდა. მანამდე კი ეროვნულ პირველობაში გუნდმა 1940, 1945 და 1965 წლებშიც გაიმარჯვა.

ჩემპიონატში უკანასკნელი გამარჯვების შემდეგ გუნდს ერთგვარი ჩავარდნა ჰქონდა, „ლოკომოტივმა“ დიდ ხანს ველარ მიაგნო მისთვის ჩვეულ თამაშს, მაღალ დონეზე ჩატარებულ მატჩებს ხშირად ძალზე უფერული თამაშები ცვლიდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ გუნდი მომავალში ველარ შეძლებდა მდგომარეობის გამოსწორებას.

მაგრამ, აი, გამოჩნდა ახალი მწვრთნელი აპოსტოლ ჩაჩევსკი და „ლოკომოტივის“ თამაშიც მკვეთრად გარდაისახა. მართალია, მან ჯერჯერობით ვერ მიაღწია იმ მაღალ დონეს, რომელზეც ეს პატივმოყვარე მწვრთნელი ოცნებობს, მაგრამ გუნდი შესამჩნევად გაახალგაზრდავდა — ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 23 წელია. ასე რომ, კლუბს მთავარი წარმატებები ჯერ კიდევ წინ აქვს.

მაინც რაზე ამახვილებს ყურადღებას უფროსი მწვრთნელი? უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთელთა ტექნიკურ მომზადებაზე, რაც კარგ ფიზიკურ გამძლეობას დაეყრდნობა. ბულგარეთის შარშანდელ ჩემპიონატში „ლოკომოტივმა“ მეოთხე ადგილი დაიკავა.

გუნდში წამყვანი პოზიციები უკავიათ ბულგარეთის ნაკრების წევრებს, მცველ პაველ დოჩევსა და თავდამსხმელ ალექსანდრე ბონჩევს. ოსტატობით მათ ტოლს არ უდებენ მეკარე პლამენ ნიკოლოვი და ნახევარმცველი ...რიილ მე...ო..., რომლებიც ბულგარეთის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაშიც გამოდიან. დიდ იმედებს ამყარებენ გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრზე, 18 წლის ანტონ ნედიალკოვზე, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავს.

— რაც შეეხება უეფა-ს თასის მატჩებს, — თქვა ჩაჩევსკიმ, — ჩვენ ძლიერი მოწინააღმდეგე შეგვხვდა. კარგად ვიცით, რომ არც თბილისელებს აქვთ ახლა საქმე კარგად, გუნდი არასტაბილურად თამაშობს, მაგრამ თასი თასია და ამ ტურნირში კლუბს სიურპრიზის შემოთავაზებაც შეუძლია. ჩემი აზრით, მაყურებელი სიამოვნებას მიიღებს ჩვენი თამაშით, რადგანაც ორივე გუნდი უაღრესად ტექნიკურია. რა თქმა უნდა, თბილისელები უფრო გამოცდილნი არიან, მათ თასების მფლობელთა თასიც აქვთ მოპოვებული, ჩვენი უმაღლესი მიღწევა კი უეფა-ს თასის გათამაშების მეოთხედფინალში გასვლაა. მაგრამ ჩვენს მხარეზე ფეხბურთელთა ახალგაზრდული ა...

## II ლიგა

**განვლილ** შაბათს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XVI ტურის მატჩები: „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 6:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ვოსხოდი“ (სუმგაითი) 2:0, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „დილა“ (გორი) 2:0, „ლორი“ (კიროვაკანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:2, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0, „დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „გოიაზანი“ (ყაზახი) 1:1, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 1:1.

**II ლიგა, IX ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 12 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტ.“ | 16 | 11 | 4 | 1 | 26-6 | 26 |
| „დინამო“ | 16 | 8 | 5 | 3 | 28-15 | 21 |
| „კოლხეთი“ | 16 | 7 | 4 | 5 | 23-20 | 18 |
| „შევარ.“-სპი | 16 | 7 | 3 | 6 | 30-20 | 17 |
| „ქიაფაზი“ | 16 | 7 | 3 | 6 | 27-22 | 17 |
| „ოლიმპია“ | 16 | 7 | 2 | 7 | 17-24 | 16 |
| „მეტალურ.“ | 16 | 7 | 1 | 8 | 18-17 | 15 |
| „ავტომობ.“ | 16 | 6 | 3 | 7 | 18-18 | 15 |
| „სპარტაკი“ | 16 | 6 | 3 | 7 | 22-25 | 15 |
| „ვოსხოდი“ | 16 | 6 | 3 | 7 | 18-22 | 15 |
| „მეშახტე“ | 16 | 6 | 3 | 7 | 15-19 | 15 |
| „ყარაბახი“ | 16 | 6 | 2 | 8 | 17-24 | 14 |
| „დილა“ | 16 | 5 | 4 | 7 | 16-22 | 14 |
| „ლორი“ | 16 | 6 | 1 | 9 | 12-15 | 13 |
| „გოიაზანი“ | 16 | 5 | 3 | 8 | 13-24 | 13 |
| „კოლხოზჩი“ | 16 | 4 | 4 | 8 | 17-24 | 12 |

**ტაგანროგში** ახლახან გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა (1975-76 წლებში დაბადებულნი) საკავშირო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილე 8 გუნდს შორის თბილისის „ლოკომოტივის“ საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებიც იყვნენ.

თბილისელებმა კარგად ისპარეზეს და ქულათა მაქსიმუმით პირველი ადგილი დაიკავეს.

ტურნირზე საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს თბილისელი ილია ჯავახიშვილი, ხოლო ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის პრიზი ლექსო კობერიძემ დაისაკუთრა (გუნდის მწვრთნელები ზ. მაღრაძე და თ. ჯაში).



სურათზე: თბილისის „ლოკომოტივის“ ნორჩ ფეხბურთელთა კოლექტივი.

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო და ტექსტი.

## ფეხბურთი და რეკლამა

**დასავლეთ** გერმანიის მრეწველობა სულ უფრო ხშირად და აქტიურად იჭრება სპორტის სფეროში. განსაკუთრებით სარფიანი გამოდგა კონტაქტები ფეხბურთელებთან, გუნდებთან, ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან.

ფირმა აგფა-მ ხელშეკრულება დადო გფრ-ის საფეხბურთო კავშირთან, რომლის თანახმადაც ქვეყნის ნაკრების თამაშებზე შეფობისათვის 400 ათას მარკას გადაიხდის.

გფრ-ის ეკონომისტებმა დაიანგარიშეს, რომ სპორტის, ამ შემთხვევაში ფეხბურთის რეკლამირებას გაცილებით უფრო დიდი სარგებლობა და შემოსავალი მოაქვს, ვიდრე საესტრადო კონცერტების ან სადღესასწაულო შოუს რეკლამას. ამ მოსაზრებას ისინი ერთი ასეთი მაგალითით ასაბუთებენ: ევროპული თასის მატჩს მიუნხენის „ბაიერნსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის მარტო გფრ-ში თვალს 17 მილიონზე მეტი მაყურებელი ადევნებდა. ასეთ აუდიტორიას თავს, ცხადია, ვერც ერთი სანახაობა ვერ უყრის.

## დაჯილდოება

სსრ კავშირის ნაკრებმა, როგორც ცნობილია, გამარჯვება მოიპოვა 16 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტსახკომის ბრძანებით საგანგებოდ აღინიშნენ ის მწვრთნელები, რომლებმაც ნაკრებისთვის აღზარდეს ფეხბურთელები.

ბრძანებაში აღნიშნულია სოხუმელი მწვრთნელი გ. იოლჩიდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონები ჭაბუკთა შორის ს. არუთინიანი და ი. გელენავა აღზარდა.

## სპორტი და სახელმწიფო მიღება

# მუშაობა გარდაქმნას მოითხოვს

**საქართველოს** განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლაში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა აღზრდას თხუთმეტი მწვრთნელი, თორმეტი ქორეოგრაფი და ცამეტი აკომპანიატორი ემსახურება. მიუმატეთ ამას აკრობატიკის ცხრა სპეციალისტიც და აღმზრდელთა საერთო რაოდენობა ორმოცდაცხრას მიაღწევს, მაგრამ საკითხავია, როგორ მუშაობენ ისინი?

ამ კითხვაზე პასუხი გასცა სახელმწიფო მიღებამ, რომელიც ამას წინათ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის დარბაზში ჩატარდა.

სარბიელზე გამოვიდნენ ისინი, ვინც სასწავლო-საწვრთნელ ჯგუფში მეცადინეობას ამთავრებს, აგრეთვე სპორტული სრულყოფის სექციის წევრები. სულ შვიდი ჯგუფის 51 წევრი უნდა გამოეცადათ, მაგრამ სახელმწიფო მიღებაზე 18 არ გამოცხადდა, აქედან 10 — არასაპატიო მიზეზით.

33 ტანმოვარჯიშის გამოცდამ საერთო, სპეციალურ და ტექნიკურ მომზადებაში სამწუხაროდ, დამაიმედებელი ვერაფერი გვიჩვენა. ნორმატივები მხოლოდ 17-მა ჩააბარა, ე. ი. 51,5 პროცენტმა. მათგან „ფრიადი“ მხოლოდ სამმა მიიღო, უმრავლესობამ კი გამოცდები „სამიანზე“ ძლივს ჩააბარა.

სახელმწიფო მიღებამ გვიჩვენა, რომ სპორტსმენთა საერთო და სპეციალურ მომზადებას სათანადო ყურადღება არ ეთმობა. ამაში გვარწმუნებს ის ფაქტი, რომ ტექნიკურ მომზადებაში გამოცდა მხოლოდ 2-მა ჩააბარა. 6 მწვრთნელიდან, რომლებმაც გამოცდაზე თავიანთი ჯგუფების წევრები გამოიყვანეს, მხოლოდ ერთმა, ლ. სოფრომაძემ (რუსთავი) დაიმსახურა დადებითი შეფასება, დანარჩენებმა არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღეს.

და ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა ერთი ტანმოვარჯიშის აღზრდა სახელმწიფოს 8157 მანეთი უჯდება.

ნათელი გახდა, რომ ამ სპორტსკოლაში სასწავლო-საწვრთნელი პროცესი უკიდურესად დაბალია. მწვრთნელთა შემადგენლობას არ უზრუნია მოსწავლეთა სრულფასოვან შერჩევაზე და აღზრდაზე, პროფესიული პასუხისმგებლობა არც სპორტსკოლის ყოფილ ხელმძღვანელებს გამოუჩენიათ.

ერთი სიტყვით, ამ სპორტსკოლის მუშაობა გარდაქმნას მოითხოვს.

## „მაიაკოვსკი-87“

# მასპინძლობდა „მაია“

**ამას წინათ მაიაკოვსკის საჭადრაკო კლუბ „მაიაში“ გაიმართა მოსწავლეთა რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიდან 93-ე წლისთავს მიეძღვნა.**

ფესტივალში მონაწილეობდნენ მაიაკოვსკის, ქუთაისის, სამტრედიის, წულუკიძის, ოჩამჩირისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების მოჭადრაკეები, სულ 12 გუნდი.

შეჯიბრებაში, რომელიც 7 ტურად, შვეიცარიული სისტემით ჩატარდა, 40 ქულით I ადგილი დაიკავა წულუკიძის გუნდმა, II ადგილზე ქუთაისის საჭადრაკო კლუბ „მაიას“ მოჭადრაკეები გავიდნენ, III — მაიაკოვსკელები.

გოგონათა შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგი აჩვენეს წულუკიძელმა ვ. ბენიძემ (7-დან 6 ქულა), ქუთაისელმა ა. კვანტალიანმა და მაიაკოვსკელმა ს. სხილაძემ.

ვაჟთა დაფაზე ბრწყინვალედ ითამაშა ოსტატობის კანდიდატმა წულუკიძელმა გოგონამ ი. ხურცილავამ, რომელმაც 7-დან 7 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაისაკუთრა. II ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ვ. კვიცარიძემ, III — მაიაკოვსკელმა ი. დოლაძემ.

შეჯიბრებაში უმცროსი ასაკის მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ — შ. ხუნდიაშვილი, ლ. ცერცვაძე, ზ. გუბელაძე, ლ. სირბილაძე და სხვები. სპეციალური პრიზები დაიმსახურეს ყველაზე პატარებმა მ. სირბილაძემ და ე. მამარდაშვილმა.

ფესტივალის გამარჯვებულნი კომკავშირის მაიაკოვსკის რაიკომისა და საჭადრაკო კლუბის სიგელებით, ფასიანი საჩუქრებითა და სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

**მარინა თავაძე,**

**საჭადრაკო კლუბ „მაიას“ დირექტორი, ოსტატობის კანდიდატი.**

„ლელოს“ ინტერვიუ

# შეხვედრის ადგილი — ჩინელთა საცურაო კლუბი

**ასეთი წარწერა ჰქონდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირის პროგრამას სინგაპურში**

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდმა სინგაპურში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენი წყალბურთელების თბილისში დაბრუნებისთანავე, ინტერვიუ ჩამოვართვით დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს წყალბურთში ჯიმშერ თორთლაძეს:



**⊙ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცოდით ამ ტურნირის შესახებ, ამიტომ, ვიდრე დინამოელთა გამოსვლაზე გვესაუბრებით, თვით შეჯიბრების შესახებ გვითხარით რამდენიმე სიტყვა.**

—ამ ტურნირზე ჩვენც ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა. ტურნირში, რომელსაც სინგაპურის ოლიმპიური საბჭო და ამავე ქალაქის ცურვის მოყვარულთა ასოციაცია ატარებს, სხვადასხვა ქვეყნის გუნდებს იწვევენ. ეს ასპარეზობა წლეულს მეხუთედ ჩატარდა.

**⊙ თბილისის „დინამოსთან“ ერთად ახლა ვინ მონაწილეობდა ამ ტურნირში?**

— სინგაპურის I და II ნაკრები, დასავლეთ ავსტრალიის, ჩინეთის „გუანგხისა“ და ბუდაპეშტის „ვასუტასის“ გუნდები. უნგრელთა გუნდი, რომელსაც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სახელგანთქმული დიარმატი ავარჯიშებს, ძალიან ძლიერი კოლექტივია.

**⊙ შეხვედრები როგორ დაამთავრეთ?**

— დავამარცხეთ ჩინეთისა (14:7) და სინგაპურის I და II ნაკრები გუნდები (შესაბამისად 15:6 და 21:5). ავსტრალიელებთან ფრედ (9:9) დავამთავრეთ შეხვედრა, უნგრელებთან დავმარცხდით — 5:9. სხვათა შორის, უნგრელებთან მატჩის დაწყებისთანავე ჩვენი გუნდის კაპიტანი კუტივაძე სარბიელიდან თამაშის ბოლომდე გააძევეს (შეცვლის უფლებით). კუტივაძის, როგორც გუნდის ბომბარდირისა და ლიდერის გაძევება დინამოელთათვის უდიდესი დანაკლისი იყო. საბოლოოდ ტურნირში პირველი ადგილი უნგრელებმა დაიკავეს.

**⊙ თბილისელთა შემადგენლობაში არც გვახარია და არც კანდელაკი იქნებოდნენ, ისინი ხომ სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე გამოდიოდნენ?**

— არა, მათ იქიდან დაბრუნება მოასწრეს და სინგაპურშიც იასპარეზეს. დინამოელებს მხოლოდ მეკარე გიორგაძე აკლდათ. იგი საკავშირო ნაკრების წევრთა შეკრებაზე გაემგზავრა. ჩვენს გუნდში კუტივაძის, გვახარიასა და კანდელაკის გარდა იყვნენ ზუმბულიძე, ბალათურია, ნიკოლაიშვილი, კოლუაშვილი, რამიშვილი, მაჭავარიანი, ბითაძე, უმცროსი მიხეილ გიორგაძე, მეკარეები ტუკვაძე და კერესელიძე.

**⊙ მსაჯებად ვინ იყვნენ მიწვეულნი?**

— სხვადასხვა ქვეყნის არბიტრები. ოთხ მატჩში მე ვიმსაჯე. პრაქტიკულად, როგორც არბიტრი ყველა გუნდის თამაშს მოვემსახურე.

SINGAPORE
SASA

**⊙ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე სხვადასხვა ქვეყნის გუნდები ჩამოდიან, მაგრამ ჩინეთის, სინგაპურისა და ავსტრალიის წყალბურთელთა თამაში არასოდეს გვინახავს. როგორ თამაშობენ ისინი?**

— ავსტრალიაში სპორტის ეს სახეობა პოპულარულია და იქ წყალბურთს კარგად თამაშობენ. ჩინეთსა და სინგაპურს, განსაკუთრებით უკანასკნელს, სუსტი წყალბურთელები ჰყოლიათ.

**⊙ ასეთ ტურნირებში ხშირად სპეციალურ პრიზებს აწესებენ. ჩვენმა წყალბურთელებმა თუ დაიმსახურეს რომელიმე ჯილდო?**

— საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზი დაიმსახურა ნიკოლაიშვილმა. მან ოცდაოთხჯერ გაიტანა გოლი, აქედან ჩვიდმეტჯერ სინგაპურელების კარი დალაშქრა.

**⊙ ახლა რომელი შეჯიბრებისთვის ემზადებით?**

— საკავშირო თასის გათამაშებისა და ჩემპიონატის მატჩებისათვის.

**საუბარი ჩაიწერა ავთანდილ გურასაშვილმა.**



## გარანტიებს თხოულობს

სპორტსმენი რომ თავის უსაფრთხოებით იყოს დაინტერესებული, სრულებითაც არ არის გასაკვირი, — განაცხადა აპ-ს კორესპონდენტმა ერთ-ერთ უძლიერეს ამერიკელ მძლეოსან გრეგ ფოსტერთან საუბრის შემდეგ. და მართლაც, ბევრმა ამერიკელმა არ იცის რა ელის მას გაისად სეულში. გრეგ ფოსტერს მაგალითად მიაჩნია, რომ სამხრეთ კორეაში უსაფრთხოდ ჩასვლისა და ცხოვრების გარანტია (ოლიმპიადის დღეებში) მას ან საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, ან აშშ-ს ეროვნულმა ორგანიზაციამ უნდა მისცეს.

## რასიზმის წინააღმდეგ

შვეციის სპორტული ორგანიზაციები, მწვრთნელები, მსაჯები, თავად სპორტსმენები სულ უფრო მტკიცედ იკავებენ ანტირასისტულ პოზიციებს. ის, ვინც გამოდის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ჩვენს შეჯიბრებებში არ უნდა მონაწილეობდეს. ასეთ შეზღუდვას, რომელიც გაისად უნდა შევიდეს ძალაში, მხარს უჭერს შვეციის სპორტული კავშირი.

„რასისტული დისკრიმინაცია ალმაშფოთებელი მოვლენაა. მას არავითარი კავშირი არა აქვს სპორტის უწმინდეს იდეალებთან, ამიტომაც ყველამ უნდა დაგმოს იგი“. ასეთი აზრისაა შვეციის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრი ულფ ლენკვისტი.

ზოგმა სპორტულმა ფედერაციამ ამ შეზღუდვის შემოღებას უკვე დაუჭირა მხარი. მაგრამ ზოგი მის გადავადებას მოითხოვს ერთი წლით. ასეთ ორგანიზაციათა შორისაა გოლფისა და მოტოსპორტის კავშირები. გაზეთ „აფტონბლადეტის“ კორესპონდენტის აზრით ამ კავშირების ხელმძღვანელთა პოზიცია გასაგებია: მომავალ წელს შვეციაში გოლფისტთა და მოტოციკლისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირები ეწყობა და ზოგიერთი გუნდის განაცხადში შეყვანილი არიან ის სპორტსმენები, რომლებიც პრეტორიის რეჟიმთან საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობენ.

## ჯარიმას გადაურჩნენ

ასეთი მკაცრი დოპინგ-კონტროლი „ტურ დე ფრანსის“ მრავალწლიან პრაქტიკას არ ახსოვს. ყოველი ეტაპის დამთავრების შემდეგ სამედიცინო შემოწმებას გადიოდა გამარჯვებული და კიდევ ორი ველოსიპედისტი ამორჩევით.

მეშვიდე ეტაპი იტალიელმა ველოსიპედისტმა გვიდო ბონტენპიმ მოიგო. სამედიცინო შემოწმებამ მის სისხლში ალმგზნები პრეპარატამ არსებობა აღნიშნა. იტალიელის შედეგი გაუქმდა და იგი ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

## კალეიდოსკოპი

მეორე მონაწილე, ვისაც დოპინგის მიღება დაუდასტურდა, გფრ-ის წარმომადგენელი დიტრიჰ ტურაუ იყო. იგი ლაბორატორიაში წაიყვანეს მერვე ეტაპის (იქ ტურაუმ 101-ე ადგილი დაიკავა) შემდეგ. შედეგის გაუქმების შემდეგ, გერმანელი ველოსიპედისტი ბოლო ადგილზე გადავიდა.

„ტურ დე ფრანსის“ წესების თანახმად დოპინგის მიმღები ველოსიპედისტები დამატებით 1275 შვეიცარიული ფრანკით ჯარიმდებიან (რაც დაახლოებით 810 დოლარს შეადგენს). მაგრამ ეს სანქცია წესრიგის დამრღვევთა მიმართ ამჯერად არ გამოუყენებიათ, ვინაიდან ასეთ დანაშაულში პირველად იყვნენ შემჩნეულნი.

## სტივ ჯონსი ცაიტნოტშია

მიუხედავად იმისა, რომ 31 წლისაა, გრძელ მანძილებზე რბენაში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად ითვლება. ინგლისელ სტივ ჯონსს არა ერთი ტურნირი აქვს მოგებული, მაგრამ ყველაზე დიდი სახელი მას ჩიკაგოს ცნობილი მარათონის ზედიზედ ორჯერ (1984 და 1985 წლებში) მოგებამ მოუტანა. ინგლისელები მასზე წლეულსაც დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ აპ-ს სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით მძლეოსანთა მეორე მსოფლიო ჩემპიონატში სტივ ჯონსი მონაწილეობას ვერ მიიღებს.

მიზეზი ამას წინათ მიღებული ტრავმაა. ერთ-ერთ შეჯიბრებაში 10 ათას მეტრზე რბენის დროს იგი ჰოსპიტალში მოათავსეს და ინტენსიური მკურნალობის შემდეგ ფეხზე დააყენეს. ჯონსმა ვარჯიში განაახლა, მაგრამ როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლისთვის მას უბრალოდ დრო არ ეყოფა.

## „სპორტპროგნოზი“

**82-ე ტირაჟის შედეგები**
**(8-10 აგვისტო)**

1-X, 2-X, 3-1, 4-1, 5-X, 6-2, 7-1, 8-X, 9-1, 10-2, 11-2, 12-1, 13-X.

**შენიშვნა**: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგ

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 31-ე ტირაჟებისა, რომლებიც 2 აგვისტოს გაიმართა.

**„სპორტლოტო“ 6-45“-დან:** გაიყიდა 665 220 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო, 5 ციფრის გამოცნობისთვის (33 ბარათი) მოგება 1 250 მანეთია, 4-ისთვის (1760) — 34, სამისთვის (32 824) — 3.

**„სპორტლოტო 5-36“-დან:** გაიყიდა 6 163 951 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (85 ბარათი) მოგება 4 423 მანეთია, 4-ისთვის (8404) — 77, სამისთვის (206 512) — 4.

31-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 17 აგვისტოდან 17 სექტემბრის ჩათვლით.

დიმიტროვგრადი—87

## იუგოსლაველებს ღირსეული ცვლა ეზრდებათ

**ბულგარეთის** ქალაქ დიმიტროვგრადში დამთავრდა ჭაბუკ კალათბურთელთა მეთორმეტე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, სადაც (ორ ჯგუფად დაყოფილი) რვა გუნდი მონაწილეობდა. პირველი ადგილისათვის ბრძოლა განაგრძეს იტალიის, საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის და საბერძნეთის გუნდებმა.

გადამწყვეტი მატჩები საბჭოთა კალათბურთელებმა სუსტად ითამაშეს და სამივე შეხვედრა წააგეს იტალიელებთან — 69:82, იუგოსლაველებთან — 57:67 და ბერძნებთან — 67:69. წარმატებით იასპარეზეს იტალიელებმა და იუგოსლაველებმა. „სკუადრა აძურამ“ საბჭოთა გუნდთან გამარჯვების შემდეგ საბერძნეთის ნაკრები დაამარცხა — 89:80, ხოლო იუგოსლაველებმა მოუგეს ბერძნებს — 80:71. გადამწყვეტი მატჩი იუგოსლაველთა უპირატესობით წარიმართა, რაც, ძირითადად, ა. კომაჟეჩის (37 ქულა) კარგმა თამაშმა განაპირობა. 82:75 (42:30) — გაიმარჯვა იუგოსლავიის ნაკრებმა და ამ პრესტიჟულ ტურნირზე პირველი ადგილი მოიპოვა.

პირველი ოფიციალური მსოფლიო რეკორდი 5000 მეტრზე რბენაში 1912 წლის 10 ივლისსაა რეგისტრირებული. ეს მოხდა სტოკჰოლმში, მეხუთე ოლიმპიური თამაშების დროს. რეკორდი, რომელიც 14 წუთსა და 36,6 წამს შეადგენდა, დაამყარა ცნობილმა ფინელმა სტაიერმა ჰ. კოლეჰმაინენმა. ზუსტად ათი წლის შემდეგ მეორე ლეგენდარულმა ფინელმა პ. ნურმიმ ამ რეკორდს სულ ერთი წამი დააკლო. 1924 წელს ჰელსინკში კი ნამდვილი სასწაული მოხდა. იმავე ნურმიმ ამ დისტანციის გარბენას 14.28,2 მოანდომა. მაშინ მთელი მსოფლიო ამ რეკორდის უნიკალობაზე ლაპარაკობდა და მას საუკუნის მიღწევა უწოდეს. რეკორდმა მართლაც დიდხანს იარსება, მთელი რვა წელიწადი, მაგრამ საუკუნოვან გამოცდას, ცხადია, ვერ გაუძლო.

რეკორდის ისტორიაში მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი თარიღია 1942 წლის 20 სექტემბერი. ამ დღეს შვეციის ქალაქ გიოტებორგში გ. ჰეგმა პირველად გადალახა 14 წუთის ზღვარი — დისტანცია 13 წუთსა და 58,2 წამში გაირბინა. ესეც ცხადია დიდი მოვლენა იყო. მას შემდეგ მსოფლიო რეკორდს ბევრი გამოჩენილი სტაიერი ფლობდა: ვ. კუცი (სსრ კავშირი) და ქ. ჩატაუეი (დიდი ბრიტანეთი), შ. იხაროში (უნგრეთი) და გ. პირი (დიდი ბრიტანეთი), რ. კლარკი (ავსტრალია) და ქ. კეინო (კენია), ლასე ვირენი (ფინეთი) და ემილ პუტემანსი (ბელგია). ეს სახელები მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ამოქარგული.

ახლა სხვა დრო დადგა და გრძელ დისტანციებზე რბენაში ტონს სხვა მძლეოსნები იძლევიან. მათ შორის ყველაზე გამორჩეულია მაროკოელი საიდ აუიტა, რომელმაც ამას წინათ რომის ოლიმპიურ სტადიონზე 27 ათასი მაყურებლის თანდასწრებით 5000 მეტრზე რბენაში, მსოფლიოში პირველმა, გადალახა 13 წუთიანი ზღვარი და დისტანცია 12.58,39-ში გაირბინა. ეს მართლაც ფანტასტიკური შედეგი გახლავთ და სავსებით თამამად საუკუნის მიღწევად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

# აუიტა დღეს და... 63 წლის წინ

მაგრამ დავუბრუნდეთ დროებით პირველი მსოფლიო რეკორდების პერიოდს და წარმოვიდგინოთ, რომ პაავო ნურმი და საიდ აუიტა ერთ გარბენში მონაწილეობდნენ. სპეციალისტებმა ზუსტად იანგარიშეს, რომ ამ იმპროვიზებულ შეჯიბრებაში მაროკოელი სტაიერი „ლეგენდარულ ფინელს“ 517 მეტრით გაუსწრებდა.

სხვათა შორის რომი 1957 წელს კიდევ ერთი შესანიშნავი მსოფლიო რეკორდის ასპარეზი იყო. ეს რეკორდი (13.35,0) მაშინ ვლადიმერ კუცმა დაამყარა. ჩვენ, ყოველი შემთხვევისათვის მაროკოელ სტაიერს კუციც დავაჭიდეთ და ისევ ერთობ არასასურველი შედეგი მივიღეთ. აუიტამ მას 222 მეტრით გაუსწრო.

შეიძლება კიდევ ერთი ასეთი პარალელის გავლება. აუიტამ სარეკორდო გარბენის დროს ბოლო 1500 მეტრი 3 წუთსა და 39 წამში დაფარა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 30 წლის მაროკოელი მძლეოსანი ფინელ ო. სალონენს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს ჩამოართმევდა, რომელიც მაშინ 3 წუთსა და 40,2 უდრიდა.

აუიტაზე ამბობენ, რომ მეორე ასეთი სტაიერი ასი წლის შემდეგ თუ დაიბადებაო. იგი უკვე სამ მსოფლიო რეკორდს (1500, 2000 და 5000 მეტრზე) ფლობს და მეოთხე, 10 ათასიანი მწვერვალის დასალაშქრავად ემზადება, თანაც დარწმუნებულია, რომ სულ მალე მიაღწევს მიზანს. ეს კი არა მაროკოელი, მისივე განცხადებით, ოდესმე 800 მეტრიან დისტანციაზეც მოსინჯავს ძალებს. აუიტა რომ ამას ამბობს, ცხადია, მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება აქვს მხედველობაში.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**12-დან 17 აგვისტომდე თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება „დინამოს“ ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის.**

მონაწილეობენ: „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (ჩელიაბინსკი), „დინამო“ (ფრუნზე), „დინამო“ (თბილისი).

დასაწყისი 12 აგვისტოს 17 სთ 30 წთ.

13-14-15-16-17 აგვისტოს 18 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07086